

ადამიანთა წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი
მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების
განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო

ადამიანთა წამების, არაკუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი
მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის

2015-2016 წლების სამოქმედო გეგმა

მიზანი	საქმიანობა	შემსრულებელი უწყება	შესრულების ვადები	შესრულების ინდიკატორი
1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება				
<p>1.1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა</p>	<p>1.1.1. საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში საკანონმდებლო ცვლილებების წარდგენა პარლამენტისთვის.</p> <p>1.1.2. საერთაშორისო სტანდარტების კვლევა და თანმიმდევრული შიდა პრაქტიკის დამკვიდრება არასათანადო მოპყრობის ჩამდენი პირის მიმართ შეწყალების, ამნისტიის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ანდა გამოძიებასთან თანამშრომლობის შედეგად სასჯელის გადახედვის შესაძლებლობის კუთხით.</p> <p>1.1.3. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შიდაუწყებრივი აქტების ანალიზი საერთაშორისო სტანდარტებთან</p>	<p>იუსტიციის სამინისტრო; სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო საუწყებათაშორის საბჭო</p>	<p>2015-2016</p>	<p>კვლევის შედეგები; ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში); სახალხო დამცველის ანგარიშები</p>

	შესაბამისობაში მოყვანის კუთხით და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.			
1.2. თავისუფლება აღკვეთილი და პატიმრობაში მყოფი პირების არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის პროცედურული და ინსტიტუციური გარანტიების გაძლიერება	1.2.1 ადვოკატის დროულ ხელმისაწვდომობასთან, შეხვედრების კონფიდენციალურობასა და ხარისხიან მომსახურებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების, მონიტორინგის ეროვნული და საერთაშორისო მექანიზმებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაცია.	იუსტიციის სამინისტრო; იურიდიული დახმარების სამსახური; შინაგან საქმეთა სამინისტრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (ეთხოვოს მონაწილეობის მიღება)	2015-2016	სახალხო დამცველის ანგარიშები; საერთაშორის მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშები
	1.2.2. ბრალდებულის/ მსჯავრდებულის მიერ სახელმწიფოს წარმომადგენლთა მხრიდან არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ საჩივრისა ან/და ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში მათთვის უფასო იურიდიული დახმარების დაუყოვნებლივ გაწევის პოტენციალის წინასწარი შეფასება და მისი შემოღება (შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში).	იუსტიციის სამინისტრო/ საუწყებათაშორისო საბჭო; იურიდიული დახმარების სამსახური	2015	კვლევის შედეგები/ დასკვნა; ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)

	<p>1.2.3 დროებით მოთავსების იზოლატორებში, ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილებში (ჰაუპტვახტებში), პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფ პირებთან სამედიცინო პერსონალის დროული ხელმისაწვდომობის, კონფიდენციალურობის, პატიმრობაში მყოფი პირის მიერ არჩეული ექიმის/სასამართლო ექსპერტიზის და საკუთარი ხარჯებით სამედიცინო გამოკვლევის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო სახალხო დამცველის აპარატი; უზენაესი სასამართლო</p>	<p>2015-2016</p>	<p>ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში) სახალხო დამცველის ანგარიშები</p>
	<p>1.2.4. არასათანადო მოპყრობის ნიშნების შესახებ შეტყობინების ვალდებულებებთან დაკავშირებით, არსებული შიდაუწყებრივი მონიტორინგის მექანიზმების შეფასება და დახვეწა, საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაცია.</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მთავარი პროკურატურა, ექსპერტიზის ეროვნული ბიურო სახალხო დამცველის აპარატი</p>	<p>2015-2016</p>	<p>შიდაუწყებრივი მონიტორინგის მექანიზმის შეფასების ანგარიში/ რეკომენდაციები ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში) სახალხო დამცველის ანგარიშები</p>

	<p>1.2.5. დაკავების/დაპატიმრებისა და ასევე ბრალდებულის/მსჯავრდებულის განთავსების/გადაყვანის შესახებ დროულ შეტყობინებასთან, დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტების და შიდაუწყებრივი მონიტორინგის მექანიზმების რეკომენდაციების სათანადო იმპლემენტაცია.</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო მთავარი პროკურატურა სახალხო დამცველის აპარატი</p>	<p>2015-2016</p>	<p>სახალხო დამცველის ანგარიშები</p>
	<p>1.2.6. დაკავებული/პატიმრობაში მყოფი/ თავისუფლებაზეზღუდული/ თავისუფლებაალკვეთილი პირის მიერ კანონით განსაზღვრულ კომპეტენტურ ორგანოებთან ცენზურის გარეშე წერილობითი მიმოწერის ან კომუნიკაციის უფლების დაცვასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა კანონმდებლობის კვლევა აღნიშნული უფლების დაცვის გაძლიერების მიზნით (საჭიროების შემთხვევაში).</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; სახალხო დამცველის აპარატი (ეთხოვოს მონაწილეობის მიღება)</p>	<p>2015-2016</p>	<p>ანგარიში / რეკომენდაციები ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)</p>
	<p>1.2.7. არასათანადო მოპყრობისგან დაცვის უფლების შესახებ დაკავებული/ პატიმრობაში მყოფი/ თავისუფლებაზეზღუდული/ თავისუფლებაალკვეთილი</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელალსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო სახალხო დამცველის</p>	<p>2015-2016</p>	<p>ანგარიში/ რეკომენდაციები ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების</p>

	პირისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით საერთაშორისო სტანდარტებისა და შიდა კანონმდებლობის და მიღებული ზომების შესრულების შეფასება და უფლების დაცვის გაძლიერება (საჭიროების შემთხვევაში).	აპარატი		შემთხვევაში) სახალხო დამცველის ანგარიშები
	1.2.8. დროებით მოთავსების იზოლატორებში, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში აღრიცხვიანობის სისტემის საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში გაუმჯობესება შესაბამისი რეესტრების დახვეწით.	შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო სახალხო დამცველის აპარატი/პრევენციის ეროვნული მექანიზმი (ეთხოვოს მონაწილეობის მიღება)	2015-2016	კვლევა/რეკომენდაციები ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება (საჭიროების შემთხვევაში)
	1.2.9. დროებით მოთავსების იზოლატორებში, პოლიციის შენობებში და სასჯელარსრულების დეპარტამენტის დაქვემდებარებაში არსებულ დაწესებულებებში აუდიო-ვიდეო მონიტორინგის სისტემის ფუნქციონირების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლა. 1.2.9.1. კვლევის შედეგად დადგენილი საჭიროებების შესაბამისად აუდიო-ვიდეო	შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; სახალხო დამცველი; პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორი (ეთხოვოს მონაწილეობის მიღება)	2015 2016	კვლევა/რეკომენდაციები ტექნიკური უზრუნველყოფის

	<p>მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება (ტექნიკური უზრუნველყოფის გაზრდა, ვიდეოკამერების სისტემის სინქრონიზაცია, მონაცემების შენახვის ხანგრძლივობისა და დაცულობის გაზრდა) პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობის დაცვით.</p>			<p>საჭიროების ანალიზი; ვიდეოკამერების რაოდენობის გაზრდა (საჭიროების შემთხვევაში); ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის სისტემების ტექნიკური შესაძლებლობების გაზრდა (საჭიროების შემთხვევაში); სახალხო დამცველის ანგარიშები</p>
	<p>1.2.10. მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასათანადო მოპყრობის შესახებ განცხადებებისა და არასათანადო მოპყრობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მოსამართლეებისა და პროკურორების როლთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტების იმპლემენტაცია, ე.წ. „მოწამლული ხის ნაყოფის“ პრინციპის დამკვიდრება.</p>	<p>იუსტიციის სამინისტრო/ უწყებათაშორისო საბჭო მთავარი პროკურატურა უზენაესი სასამართლო იუსტიციის უმაღლესი საბჭო</p>	<p>2015-2016</p>	<p>ანგარიში / რეკომენდაციები ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში) სახალხო დამცველის ანგარიშები</p>
	<p>1.2.11. სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნათა შესამაბისად სასჯელაღსრულების სისტემის დაწესებულებებში სამედიცინო შემოწმების არსებული მარეგულირებელი ჩარჩოს</p>	<p>სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო სახალხო დამცველის აპარატი/ეროვნული პრევენციის მექანიზმი</p>	<p>2015-2016</p>	<p>სახალხო დამცველის ანგარიში /რეკომენდაციები ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების</p>

	გაუმჯობესებაზე ზრუნვა.			შემთხვევაში)
1.3. დაკავებულ/ პატიმრობაში მყოფ/ თავისუფლებაზე ზღუდულ/ თავისუფლება აღკვეთილ პირთათვის ადეკვატური საყოფაცხოვრებო, სანიტარული და სხვა პირობების შექმნა	1.3.1. სასჯელაღსრულების სტრატეგიის/რელიევანტური პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება იმ მიზნით, რომ პატიმრები უზრუნველყოფილნი იყვნენ საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვებითი და სხვა მატერიალური პირობებით, რაც შესაბამისი იქნება არასათანადო მოპყრობის აკრძალვის სტანდარტებთან.	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2015-2016	შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტი
	1.3.2. მიღებული სტრატეგიის/პოლიტიკის დოკუმენტების შემდგომი იმპლემენტაცია.	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;	2015-2016	იმპლემენტაციის შესახებ პერიოდული ანგარიშები; სახალხო დამცველის ანგარიშები
	1.3.3. არსებული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შესაბამისად დროებითი მოთავსების იზოლაციის გამართული ფუნქციონირება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვებითი და სხვა მატერიალური პირობები.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2015-2016	მიღებული პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტაციის შესახებ პერიოდული ანგარიშები; სახალხო დამცველის ანგარიში
	1.3.4. არსებული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების იმპლემენტაცია საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე მყოფი მიგრანტის დროებითი	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2015-2016	მიღებული პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტაციის შესახებ პერიოდული ანგარიშები;

	განთავსების ცენტრის გამართული ფუნქციონირების მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას საცხოვრებელი, სანიტარული, ჰიგიენური, კვებითი და სხვა მატერიალური პირობები			სახალხო დამცველის ანგარიში
	1.3.5. შესაბამისი პირობებისა და მოპყრობის ერთიანი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, ადმინისტრაციული პატიმრობის მოხდის ინსტიტუციონალური და ინფრასტრუქტურული მოწყობის გადასინჯვა	შინაგან საქმეთა სამინისტრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; საქართველოს სახალხო დამცველი /ეთხოვოს მონაწილეობა/ თავდაცვის სამინისტრო		კონცეფციის დოკუმენტი ინფრასტრუქტურული ღონისძიებების დროში გაწერილი გეგმა; საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი
	1.3.6. ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის იმპლემენტაციის ფარგლებში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირთა უფლებების დაცვის გაუმჯობესება და გაძლიერება	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	2015-2016	სახალხო დამცველის ანგარიშები; მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმების ანგარიშები
	1.3.7. სასჯელაღსრულების სტრატეგიის, სხვა რელევანტური პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემდგომი განვითარება და მათი იმპლემენტაცია, რათა პატიმრები უზრუნველყოფილნი	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2015-2016	მიღებული პოლიტიკის დოკუმენტების იმპლემენტაციის შესახებ პერიოდული ანგარიშები; სახალხო დამცველის ანგარიში

	<p>იყვნენ რეჟიმით, რომელიც შეესაბამება არასათანადო მოპყრობის აკრძალვის სტანდარტებს, მათ შორის სარეაბილიტაციო პროგრამების სპექტრისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, დაწესებულების თანამშრომლებსა და პატიმრებს შორის ადეკვატური ურთიერთობის, გარესამყაროსთან სათანადო კონტაქტების დამყარების შესაძლებლობის თვალსაზრისით, ისევე როგორც დაშინებისგან/პატიმრებს შორის ძალადობისგან თავისუფალი გარემოს უზრუნველყოფისა და დანაშაულებრივი სუბ-კულტურის ჩახშობის თვალსაზრისით</p>			
1.4. თავისუფლება აღკვეთილ და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა ჯანმრთელობის დაცვის, მკურნალობისა და რეაბილიტაციის უზრუნველყოფა	<p>1.4.1. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის სტრატეგიისა და სხვა პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტების შემუშავება/ დახვეწა.</p>	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	2015-2016	შემუშავებული პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი
	<p>1.4.2. შემუშავებული სტრატეგიული და პოლიტიკის დოკუმენტების შემდგომი იმპლემენტაცია.</p>	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2016	იმპლემენტაციის შესახებ ანგარიშები; სახალხო დამცველის ანგარიშები

	<p>1.4.3. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (მათ შორის, სასჯელადსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებების ფსიქიატრიულ განყოფილებებში) ხარისხზე ორიენტირებული მედიკამენტების შესყიდვის ბარიერების შესწავლისა და მათი გადალახვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შესაბამისი კვლევის/რეკომენდაციების მომზადების მიზნით შესაბამისი რესურსებისა და საერთაშორისო დონორებისა და ექსპერტების მოზიდვა.</p>	<p>შრომის, ჯანმრთელობის და საციალური დაცვის სამინისტრო; სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო</p>	<p>2015-2016</p>	<p>ჩატარებული შესწავლის/კვლევის ანგარიში და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი</p> <p>ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)</p>
	<p>1.4.4. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ((სასჯელადსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებების ფსიქიატრიულ განყოფილებებში) მყოფი პირების ფსიქიკური ჯანმრთელობის თანამედროვე სერვისებით უზრუნველყოფა, მათ შორის მათი შესაბამის დაწესებულებებში მოთავსების და მათი მკურნალობის შესახებ რეგულაციების გაუმჯობესება.</p>	<p>შრომის, ჯანმრთელობის და საციალური დაცვის სამინისტრო; სასჯელადსრულებისა და პრობაციის სამინისტრო</p>	<p>2015-2016</p>	<p>სახალხო დამცველის ანგარიშები; მონიტორინგის საერთაშორისო მექანიზმების ანგარიშები</p>

	1.4.5. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არანებაყოფლობითი და იძულებითი მკურნალობის რეჟიმების კვლევა ანალოგიური განვითარების მქონე ქვეყნებში და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2015	ჩატარებული შესწავლის/კვლევის ანგარიში და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი
1.5. იძულების ღინისძიებების გამოყენების საგამონაკლისო ხასიათისა და პროპორციულობის პრინციპის დაცვის უზრუნველყოფა	1.5.1 შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების დარღვევის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების და უფლების დარღვევის პრევენციის მიზნით, შსს-ს შესაბამისი ქვედანაყოფებისთვის სტანდარტული ოპერატიული პროცედურების შემუშავება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო;	2015	შემუშავებული სტანდარტული ოპერატიული პროცედურები
	1.5.2. იძულების ღინისძიებების გამოყენების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებისა და პრაქტიკის ადეკვატურობის შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო	2015-2016	კვლევა/ რეკომენდაციები; ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)
	1.5.3. სამართალდარღვევის აღკვეთისა და მასზე შემდგომი რეაგირების მიზნით, საპატრულო პოლიციის მიერ სამხრე ვიდეოკამერის გამოყენების წესის შემუშავება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2015	შემუშავებული ცვლილებები კანონქვემდებარე აქტებში

	<p>1.5.4. იძულებითი ფსიქიატრიული სტაციონარული მომსახურების პროცედურების არსებული პრაქტიკის შეფასება მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტებთან/ნორმატიულ დოკუმენტებთან მიმართებაში</p>	<p>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახალხო დამცველის აპარატი/ეროვნული პრევენციის მექანიზმი</p>	<p>2015-2016</p>	<p>ჩატარებული შესწავლის/კვლევის ანგარიში და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი სახალხო დამცველის ანგარიშები; ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)</p>
	<p>1.5.5. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფსიქიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ რეგულაციების და დამკვიდრებული პრაქტიკის შეფასება და რეკომენდაციების მომზადება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით.</p>	<p>სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახალხო დამცველის აპარატი</p>	<p>2015-2016</p>	<p>ჩატარებული შესწავლის/კვლევის ანგარიში და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი სახალხო დამცველის ანგარიშები</p>

	1.5.6. სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში თავისუფლებააღკვეთილი/პატიმრობაში მყოფი პირთა მიმართ დისციპლინური სახდელის გამოყენების ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბების მიზნით საერთაშორისო გამოცდილებისა და არსებული პრაქტიკის ანალიზი	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2015-2016	კვლევის შედეგები/რეკომენდაციები; სახალხო დამცველის ანგარიშები
1.6. კერძო პირების მიერ განზრახ არასათანადო მოპყრობის აღკვეთასა და აღმოფხვრაზე მუშაობის გაძლიერება	1.6.1. მატერიალური სისხლის სამართლის და სხვა მასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ნორმების და მათი შეფარდების პრაქტიკის (სასამართლო პრეცედენტების) შესწავლა კერძო პირების მიერ განზრახ, არასათანადო მოპყრობის ეფექტური აღკვეთისა და აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.	იუსტიციის სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; უზენაესი სასამართლო	2015-2016	კვლევის შედეგები/რეკომენდაციები
	1.6.2. კერძო პირის მიერ განზრახ არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ეფექტური პოლიციური ღონისძიებების განხორციელება.	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2015-2016	სახალხო დამცველის ანგარიშები

	1.6.3. კერძო პირების მიერ განზრახ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტური გამოძიების უზრუნველყოფა	შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა	2015-2016	სახალხო დამცველის ანგარიშები
1.7. ბავშვებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ეფექტურობის გაძლიერება	1.7.1 საკანონმდებლო ბაზისა და პრაქტიკის ანალიზი ბავშვთა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების უფლებათა დაცვის კუთხით, მათი არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მიზნით.	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო	2015-2016	კვლევის შედეგები/ რეკომენდაციები ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)
	1.7.2. შემდგომი ორგანიზაციული, და ინსტიტუციონალური ზომების მიღება, რათა მოხდეს ბავშვებისა და მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებზე რეაგირება, როდესაც ისინი იმყოფებიან შესაძლო არასათანადო მოპყრობის რისკის შემცველ ვითარებაში	შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო	2015-2016	პრაქტიკის ანალიზზე დაფუძნებით, საჭიროებების იდენტიფიცირება
2. არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოვლენა და ყველა საჩივრის/ზრალდების დროული, მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება				
2.1. დაკავებულ/პატიმრობაში მყოფ/თავისუფლებაშეზღუდულ/თავისუფლებააღკვეთილ პირთა და ფსიქიატრიული დაწესებულებების პაციენტთა მდგომარეობისა და მათი მოპყრობის შიდა მონიტორინგის	2.1.1. შესაბამისი უწყებების (გენერალური ინსპექცია და სხვა) ინსტიტუციონალური მოწყობა და მონიტორინგის ორგანოებთან და ნაციონალური და საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებთან თანამშრომლობის გაძლიერება	მთავრობა/ იუსტიციის სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციისა სამინისტრო	2015-2016	ცვლილებები ინსტიტუციონალურ/ შიდაუწყებრივ მოწყობაში (საჭიროების შემთხვევაში); სახალხო დამცველის ანგარიშები; საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების ანგარიშები

მექანიზმების გაძლიერება	2.1.2. პოლიციის მიერ დაკავებული პირების მიმართ მოპყრობის შემოწმებაზე პასუხისმგებელი შიდაუწყებრივი მექანიზმების ფუნქციების დახვეწა,სამუშაო მეთოდების, მარეგულირებელი ჩარჩოს, ანგარიშვალდებულების სქემების გაუმჯობესება და გაძლიერება	შინაგან საქმეთა სამინისტრო	2105-2016	ინსტრუქციები/რეკომენდაციები
	2.1.3. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის შიდა მონიტორინგის მექანიზმების ოპტიმიზაცია, მათი გაძლიერება,მათი ფუნქციების დახვეწა, სამუშაო მეთოდების, მარეგულირებელი ჩარჩოს და ანგარიშვალდებულების სქემების გაუმჯობესება	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	2015-2016	ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)
	2.1.4. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სისტემაში, ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მოთავსებულ პირთა უფლებების დაცვის შიდა მონიტორინგის მექანიზმის - სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს - ფუნქციების გაფართოება.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2015-2016	შემუშავებული კონცეფცია/ არსებული მექანიზმის მანდატის გაძლიერება და შესაბამისი ცვლილებები ნორმატიულ აქტებში

2.2. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში გარე მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება	2.2.1. პრევენციის ეროვნული მექანიზმის საქმიანობის მხარდაჭერა, მისი ფუნქციების განმტკიცება, პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის ფოტოგადაღების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო რეგულაციების გადახედვა; ამჟამად არსებული თანამშრომლობის და რეკომენდაციებზე რეაგირების ფორმატის გაძლიერება.	მთავრობა; შინაგან საქმეთა სამინისტრო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო; სახალხო დამცველის აპარატი/ეროვნული პრევენციის მექანიზმი	2015	საბიუჯეტო რესურსების გადანაწილება; ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)
	2.2.2. სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, პოლიციის დაწესებულებებში და სტაციონარულ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში საზოგადოებრივი მონიტორინგის ინსტიტუტის შემოღების პოტენციალის საკითხის შესწავლა და ასეთი ინსტიტუტის მოდელების შემუშავება.	მთავრობა; იუსტიციის სამინისტრო/ უწყებათაშორისო საბჭო	2015	შემუშავებული საზოგადოებრივი მონიტორინგის კონცეფცია

	2.2.3. თანამშრომლობის გაძლიერება ევროპის საბჭოს წამების წინააღმდეგ კომიტეტთან, გაეროს წამების საწინააღმდეგო ქვე-კომიტეტთან და სხვა საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებთან, მათ შორის მათი ანგარიშების სრულად გამოქვეყნების პოლიტიკის შენარჩუნება.	მთავრობა/ იუსტიციის სამინისტრო	2015-2016	საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების დოკუმენტები და ანგარიშები
2.3. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების დროული, სრულყოფილი, ეფექტური და მიუკერძოებელი გამოძიება; დამნაშავეთა სისხლისსამართლებრივი დევნა; დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლა	2.3.1. სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციაში, სამხედრო, თუ სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასთან და სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებების გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის კონცეფციის შემუშავება.	მთავრობა; იუსტიციის სამინისტრო/ უწყებათაშორისო საბჭო/ სისხლის სამართლის რეფორმის უწყებათაშორისო საბჭო; მთავარი პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულების სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; სახალხო დამცველი	2015-2016	შემუშავებული კონცეფცია
	2.3.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების ეფექტური გამოძიების მეთოდური და ტექნიკური ინსტრუქციების ჩამოყალიბება და დანერგვა საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.	მთავარი პროკურატურა; იუსტიციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; უზენაესი სამამართლო (ეთხოვოს	2015-2016	მეთოდური და ტექნიკური ინსტრუქციები; ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)

	<p>2.3.2.1. გამოძიების დაწყების საფუძვლების, განსაკუთრებით შესაძლო არასათანადო მოპყრობის ნიშნების არსებობისას, მათ შორის, ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებში, გამოძიების დაწყების შესახებ საერთაშორისო სტანდარტებთან სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის და პრაქტიკის შესაბამისობის შეფასება და მისი დახვეწა (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>2.3.2.2. არასათანადო მოპყრობის საქმეებზე საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გამოძიების ზედმიწევნითობისა და ყოვლისმომცველობის თვალსაზრისით, თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ჩათვლით, და მათი გაძლიერება (საჭიროების შემთხვევაში).</p> <p>2.3.2.3. არასათანადო მოპყრობის საქმეებზე საგამოძიებო</p>	თანამშრომლობა)		
--	---	----------------	--	--

	<p>და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი სისწრაფის და კომპეტენტური ორგანოების დაუყოვნებლივ ჩართვის სტანდარტების შესრულების თვალსაზრისით და მათი გამდიერება.</p> <p>2.3.2.4. არასათანადო მოპყრობის საქმეებზე სამართლებრივი ჩარჩოს, მათ შორის საგამომიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საკმარისი კომპეტენციის სტანდარტებთან, მათ შორის საქმესთან დაკავშირებული პირების სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების და სხვა დამცავი ზომების მიღების კომპეტენციის სტანდარტებთან შესაბამისობის თვალსაზრისით.</p> <p>2.3.2.5. წამების და არასათანადო მოპყრობის გამოძიებასა და სასამართლო პროცესებში, მსხვერპლის ჩართვისა და გამჭვირვალობის კუთხით არსებული საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა და იმპლემენტაცია, იმ ხარისხით, რაც აუცილებელია მსხვერპლის</p>			
--	---	--	--	--

	ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად.			
	2.3.3. წამებისა და არასათანადო მოპყრობის სხვა ფორმების სისხლისსამართლებრივი დევნის პრიორიტიზაცია და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპებში შესაბამისი პოლიტიკის ასახვა	იუსტიციის სამინისტრო მთავარი პროკურატურა	2015	სისხლის სამართლის პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები; სახალხო დამცველის ანგარიშები
3. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვა, კომპენსაცია და რეაბილიტაცია				
3.1. წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის შედეგების აღმოფხვრა, მსხვერპლთა დაცვა და რეაბილიტაცია	3.1.1. მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით არსებული კანონმდებლობის ანალიზი და შემდგომი გაუმჯობესება (საჭიროების შემთხვევაში).	იუსტიციის სამინისტრო/ უწყებათაშორისო საბჭო იურიდიული დახმარების სამსახური; მთავარი პროკურატურა	2015-2016	კვლევი შედეგი/ რეკომენდაციები; ცვლილებები ნორმატიულ აქტებში (საჭიროების შემთხვევაში)
	3.1.2. მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფორმირებისა და ეფექტურობის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი აქტივობების განსაზღვრა, მათ შორის არსებული ბარიერებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლის მიზნით დონორებისა და ექსპერტების მოზიდვის კუთხით.	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;	2015-2016	ჩატარებული კვლევის შედეგები და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი

	3.1.3. მსხვერპლთა რეაბილიტაციის მხარდამჭერ არასახელმწიფო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაზრდა.	იუსტიციის სამინისტრო; უწყებათაშორისი საბჭო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	2015-2016	თანამშრომლობის მემორანდუმი
	3.1.4. მსხვერპლთათვის ეფექტური იურიდიული დახმარების მიზნით იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალის გაზრდის შესწავლა (მატერიალური და ფინანსური ბაზის გაუმჯობესება საჭიროება).	იურიდიული დახმარების სამსახური; უწყებათაშორისო საბჭო	2015	კვლევის შედეგები
4. არასათანადო მოპყრობის შესახებ სწავლებისა და შესაბამისი შესაძლებლობების გაძლიერება, ინფორმაციის გავრცელება და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება				
4.1. წამებასთან და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის მიზნით საჯარო მოხელეების სწავლებისა და შესაბამისი შესაძლებლობების გაძლიერება	4.1. საჯარო მოსამსახურეთა განგრძობადი სწავლება და შესაძლებლობათა გაძლიერება წამების და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის, ეფექტური რეაგირებისა და გამოძიების, აგრეთვე მსხვერპლთა ინტერესების დაცვის გაუმჯობესების მიზნით 4.1.1. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ტრენინგ-მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების რეგულარულ სწავლებასთან და	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; თავდაცვის სამინისტრო; იუსტიციის სამინისტრო; იუსტიციის უმაღლესი სკოლა; სახალხო დამცველის აპარატი	2015-2016	საჭიროებების შეფასების პერიოდული ანგარიშები; ცვლილებები/ახალი სასწავლო პროგრამები; გაუმჯობესებული/ახალი ტრენინგ-მოდულები; ანგარიშები ტრენინგების ჩატარების შესახებ გადამზადებული საჯარო მოხელეთა რაოდენობა

	<p>კურიკულუმის და სწავლების მოდულების განახლებასთან/განვრცობასთან დაკავშირებით საჭიროებების შეფასება სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომელთა (სამსახურში მიღებამდე და მიღების შემდეგ) წამებასთან/არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.</p> <p>4.1.2. შსს-ს აკადემიის ტრენერთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება, აგრეთვე კურიკულუმის და სწავლების მოდულების განახლება, პოლიციელთა მომზადება/გადამზადება (სამსახურში მიღებამდე და მიღების შემდეგ) წამებასთან/არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.</p> <p>4.1.3. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების</p>		2015	
--	---	--	------	--

	<p>შემლახავი მოპყრობის საკითხზე პროფესიული ტრენინგების ჩატარება მოსამართლეებისთვის.</p> <p>4.1.3.1. მოსამართლეებისთვის სასწავლო მოდულის (კურიკულუმის) შემუშავება და ტრენინგების ჩატარება.</p> <p>4.1.4. მთავარი პროკურატურის სასწავლო ცენტრის ტრენინგთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, რეგულარულ სწავლებასთან და კურიკულუმის და სწავლების მოდულების განახლებასთან/განვრცობასთან დაკავშირებით საჭიროებების პერიოდული შეფასება პროკურორთა (სამსახურში მიღებამდე და მიღების შემდეგ) წამებასთან/არასთანადო მოპყრობასთან ბრძოლის კუთხით შესაძლებლობების გაზრდის მიზნით.</p>		2016	
<p>4.2. ცნობიერების ამაღლების და საზოგადოებრივი აქტივობების ორგანიზება</p>	<p>4.2.1. შემოწმებისა და მონიტორინგის უწყებებისა და მექანიზმების ყოველწლიური ანგარიშების გამოქვეყნება არსებული მდგომარეობის შესახებ, რასაც, საჭიროების შემთხვევაში,</p>	<p>შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელალსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო</p>	2015-2016	<p>გამოქვეყნებული ანგარიშები; საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმები; საჯარო ღონისძიებები/კამპანიები;</p>

	თან სდევს შესაბამისი საზოგადოებრივი ღონისძიება ან კამპანია.			მედია მონიტორინგის ანგარიშები
	4.2.2. პირადი მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის დაცვით წამების/ არასათანადო მოპყრობის საქმეებზე გამოძიებისა და შემდგომი სასამართლო პროცესების შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელება.	მთავარი პროკურატურა; შინაგან საქმეთა სამინისტრო; უზენაესი სასამართლო	2015-2016	პრეს-რელიზები; საზოგადოებასთან ურთიერთობის გეგმები/ კამპანიები მედია მონიტორინგის ანგარიშები
4.3. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება	4.3.1. მთავრობის ადამიანის უფლებების სამოქმედო გეგმის ვებ-გვერდზე არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საინფორმაციო კატალოგის განვითარება და ამოქმედება.	მთავრობა	2015-2016	ინტერნეტრესურსების შექმნა და განახლებები
4.4. პატიმრობაში მყოფ და თავისუფლება აღკვეთილ პირთა არასათანადო მოპყრობისა და შესაბამისი რეაგირების სტატისტიკის მონაცემების სრულყოფა და მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	4.4.1. არასათანადო მოპყრობის ფაქტების შემცირება-გაზრდის ანალიზის მიზნით, შესაბამისი სტატისტიკური ბაზის შექმნა, წარმოება და სრულყოფა. პირადი მონაცემთა დაცვის შესახებ კანონმდებლობის დაცვით მისი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.	შინაგან საქმეთა სამინისტრო; მთავარი პროკურატურა; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო; თავდაცვის სამინისტრო; უზენაესი სასამართლო; პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორი (ეთხოვოს მონაცილეობის მიღება)	2015-2016	სტატისტიკური მონაცემთა ბაზა